European Union

gef

The GEF Small Grants Programme

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

სატყეო მიწების მმართველობის გაუმჯობესება საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის

ნიადაგის განადგურება, როგორც ბიზნესი

27-28. 11.2015.

GREEN Alternative

www.greenalt.org

- გაზონები
- სპორტული მოედნები
- პარკები
- კერძო პირების ეზოები
- სახელმწიფო დაწესებულებები

რულონური გაზონის წარმოება

2010 წელს სატყეო სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები

- ტყის ფონდში არსებული მიწის ნაყოფიერი ფენა მიკუთვნებულ იქნა ტყის რესურსებს (კანონი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“, მუხლი 3. „ზ“);
- ტყითსარგებლობის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრა „სახელმწიფო ტყის ფონდში მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა“ (ტყის კოდექსი, მუხლი 51. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“მთავრობის 20.08. 2010 N 242 დადგენილება, მუხლი 3);
- 20.08. 2010 N 242 დადგენილებით განისაზღვრა ტყის ფონდში მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის მიზნით ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთის გაცემის წესი და მომსახურების საფასური (თავი VII, მუხლები: 35-42, დანართი 4, პუნქტი 1.)

მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის ეკოლოგიური შედეგები

- ეკოსისტემის სტრუქტურის ცვილება
- ეროზიული პროცესების გააქტიურება
- სტიქიური მოვლენების შედეგების დამძიმება
- ეკოსისტემის ნაყოფიერების დაცემა
- რესურსის განიავება/განადგურება და მასზე დამოკიდებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბება
- მიწის ნაყოფიერი ფენა არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც განახლებადი რესურსი, ვინაიდან მის წარმოშობას/აღდგენას ასწლეულები შეიძლება დასჭირდეს.

სამართლებრივი შეუსაბამობა

- „ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (1994 წ.) მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის ,,დ" და ,,ი" ქვეპუნქტები:

ნიადაგის დაცვის მიზნით იკრძალება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ანგარებით ან პირადი სარგებლობის მიზნით, აგრეთვე, ყოველგვარი ქმედება, რომელიც გაუარესებს ნიადაგის თვისებებს.

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით სამართალდარღვევას წარმოადგენს მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება

- „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 424 მოთხოვნები არ შეიძლება ვრცელდებოდეს რულონური გაზონის წარმოების ბიზნესზე

ბიზნესი, როგორც ასეთი....

- 2006-დან 2015 წლამდე - გამოვლენილია მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონოდ მოხსნის 143 შემთხვევა
- კომპანიების ბიზნესი - ნიადაგის ფენის (1-5 სმ სისქის) მოხსნა, გაყიდვა
- ბიზნესი - უკანონოდ მოპოვებული ნიადაგის ფენის გადაყიდვა (1 კვ. მ - 5-დან 30 ლარამდე)
- რეალური საქმიანობა განსხვავდება „პატენტში" აღწერილი საქმიანობისგან
- ბიზნესმენი - „პატენტით დარეგისტრირებული მეთოდი გამიზნული იყო საექსპორტო პროდუქციისათვის".

გამოსავალი?

- გარემოს მენეჯმენტის ოქროს წესი - ხისტ აკრძალვაზე უკეთ ყოველთვის საქმიანობის რეგულირება მუშაობს.
- რულონური გაზონის წარმოება დარეგულირდეს რეგლამენტით
- საქმიანობის რეგულირება არ გამორიცხავს, რომ :

- *რულონური გაზონის წარმოებისას აკრძალული იქნეს მიწის ნაყოფიერი ფერის მოჭრა;*
- *რულონური გაზონის წარმოება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ბუნებრივად არსებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოჭრის გარეშე (ხელოვნურად შექმნილი საფარის ზემოთ არსებული ფენის მოჭრა).*

დიდი მადლობა ყურადღებისათვის